

საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2018 წლის ოქტომბერში საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ მნიშვნელოვანი და საინტერესო ცვლილებები არ შესულა.

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

საპენსიო რეფორმა

2019 წლის იანვრიდან ძალაში შედის საპენსიო რეფორმა. რეფორმის მიხედვით მომავალი წლის იანვრიდან საქართველოში დასაქმებულ პირებს საკუთარი დარიცხული ხელფასის ნაწილის საპენსიო ფონდში ჩარიცხვის ვალდებულება ექნებათ. პირებს, რომლებსაც „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდათ 40 წელი, უფლება აქვთ უარი განაცხადონ აღნიშნულ სქემაში მონაწილეობაზე.

დასაქმებულის საპენსიო შენატანების დაფინანსება ხორციელდება შემდეგნაირად:

- დამსაქმებელი დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე რიცხავს დასაქმებულის დასაბეგრი ხელფასის 2%-ს.

- დასაქმებული თავის მხრივ საპენსიო ანგარიშზე იხდის საკუთარი დასაბეგრი ხელფასის 2%-ს (ტრანზაქცია ხორციელდება დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელით).
- სახელმწიფო დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე რიცხავს დასაქმებულის დასაბეგრი ხელფასის 2%-ს. საგულისხმოა, რომ თუ დასაქმებულის წლიური დასაბეგრი ხელფასი შეადგენს 24 000-დან 60 000 ლარამდე, მაშინ სახელმწიფო იხდის 1%-ს, ხოლო 60 000 ლარის ზემოთ სახელმწიფო არ განახორციელებს საპენსიო შენატანს.

შესაბამისად, ყოველთვიური საპენსიო შენატანი დასაქმებულის ანგარიშზე საშუალოდ შეადგენს მისი დასაბეგრი ხელფასის 6%-ს.

თვითდასაქმებულებს უფლება აქვთ საპენსიო დაგროვებით სქემაში მონაწილეობა მიიღონ ნებაყოფლობით. ასეთ შემთხვევაში თვითდასაქმებული საკუთარ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხავს საკუთარი შემოსავლის 4%-ს.

საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულება.

საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სსიპ „საპენსიო სააგენტო“-ს კანონით ეკისრებათ ვალდებულება, რომ 2018 წლის 01 დეკემბრამდე მიიღონ შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომლებიც გათვალისწინებულია „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონით.

სესხების რეფორმა - ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ დებულების პროექტი

ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ დებულება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ჯანსაღი დაკრედიტების წახალისებასა და მსესხებელთა დაცვას არაპროპორციული ფინანსური რისკებისგან ძალაში აღარ შევიდა 01 ნოემბრიდან და ეროვნული ბანკის განცხადების თანახმად, გარკვეული ცვლილებების გათვალისწინებით ძალაში შევა 2018 წლის 15 ნოემბერს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №476 სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

2018 წლის 15 ნოემბერს ძალაში შედის საქართველოს მთავრობის დადგენილება №476

სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

დადგენილებით დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ადგენს სამშენებლო პროდუქტების ძირითად მახასიათებლებს, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში იმპორტირებული და წარმოებული ნებისმიერი სამშენებლო მასალა.

ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განისაზღვრა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

დადგენილების თანახმად, თუ სამშენებლო პროდუქტი შეესაბამება საქართველოს სტანდარტს ან აკმაყოფილებს მისთვის დადგენილ ევროპული ტექნიკური შეფასების მოთხოვნებს, მწარმოებელი ვალდებულია, ასეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსებამდე შეადგინოს სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაცია.

დადგენილებით განსაზღვრულია სამშენებლო პროდუქტის მწარმოებლის, ავტორიზებული წარმომადგენლის, იმპორტიორისა და დისტრიბუტორი ვალდებულებები.

სამშენებლო პროდუქტის თვისებების უცვლელობის შეფასებისა და ვერიფიკაციის უფლება ექნებათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებულ და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აკრედიტებულ შესაბამისობის დამოუკიდებელ შემფასებელ პირებს.

სამშენებლო ობიექტების მიმართ წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენს:

- სიმტკიცე და მდგრადობა;
- უსაფრთხოების დაცვა ხანძრის დროს;
- ჰიგიენა, ჯანმრთელობა და გარემოს დაცვა;
- უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა;
- ხმაურისგან დაცვა;
- ენერჯის ეკონომია და სითბოს შენარჩუნება;
- ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენება.

მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს სააპელაციო სასამართლომ საინტერესო გადაწყვეტილება გამოიტანა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებთან, მტკიცების ტვირთის განაწილებასა და მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით.

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

სასამართლომ განმარტა, რომ სამუშაოდან გათავისუფლების მართლზომიერების შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული

დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად.

დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია დამსაქმებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებებით კეთილსინდისიერად სარგებლობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სამართალში მოქმედ *“ultima ratio”* - ს პრინციპის დაცვას, რომლის თანახმადაც, დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ ვერ იქნა დადასტურებული მოსარჩელის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი და შესაბამისად, დაასკვნა, რომ არ არსებობდა მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილების მოძიება შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე საქმის ნომრით - 28/4372-16.

წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უნდა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 7, ზამზის რიგის ქუჩა
(მანთაშევის რიგები) 0105, თბილისი.

(+ 995 32) 2438 999

office@bakertillygeorgia.ge

www.bakertillygeorgia.ge

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited-ი ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International-ი არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არ აქვს უფლებამოსილება დააკავშიროს რამე თავის ქმედებასთან Baker Tilly International-ი ან იმოქმედოს Baker Tilly International -ის სახელით. არც Baker Tilly International-ი, არც შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International-ის ქსელის რომელიმე სხვა წევრი არის რამე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly-ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited-ის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.